სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ტესტის სწორი პასუხები და შეფასების კრიტერიუმები

I. საგნობრივი კომპეტენცია

1. ა 2. ა 3. ბ 4. გ 5. ა 6. დ 7. ა 8. გ 9. გ 10. ბ 11. დ 12. გ 13. ბ 14. ბ 15. გ 16. გ 17. ბ 18. გ 19. გ 20. გ 21. გ 22. ა 23. ბ 24. დ

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

25. <u>პოსტერი ან პლაკატი ან აფიშა</u> 1 ქ.

26. <u>კვარცხლბეკი ან პედესტალი ან პოსტამენტი</u> 1 ქ.

27. <u>კანკელი</u> 1 ქ.

28. <u>პუანტილიზმი</u> 1 ქ.

29. <u>კუბიზმი</u> 1 ქ.

<u>31. ბაზილიკა</u> 1 ქ.

32. მცდარია ☐

✍ **გოთური** ბაზილიკის ინტერიერის არქიტექტურული სტრუქტურისა და დეკორატიული სისტემის გააზრებაში მნიშვნელობა ენიჭება მსუბუქი

არქიტექტურული კონსტრუქციების საშუალებით მასიური კედლების ჩანაცვლებას და დიდი ზომის ვიტრაჟულ სარკმლებს.

33. ჭეშმარიტია ☐

34. მცდარია ☐

✍ რენესანსის სტილისთვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნებია სიმეტრია, ჰაეროვნება, თანაბარი განათება და წონასწორობა ან ბაროკოსათვის

დამახასიათებელია დინამიზმი, დრამატიზმი, დიაგონალური კომპოზიციური სტრუქტურა და შუქ-ჩრდილების მკვეთრი კონტრასტი.

35. ჭეშმარიტია ☐

36. მცდარია ☐

✍ პროფესიას, რომელიც სიძველეების აღდგენას ემსახურება, რესტავრაცია ეწოდება ან პროფესიას, რომელიც გათხრებისას სიძველეების აღმოჩენას ემსახურება

არქეოლოგია ეწოდება.

37. ჭეშმარიტია ☐

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

38.

ღნიშვნები სურათზე / დავალების №	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
38.1						X		
38.2				X				
38.3					X			
38.4		X						
38.5			X					
38.6							X	

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

39.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული _ პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი სწორად მიაკუთვნებს ფერწერულ ნიმუშს რენესანსის მხატვრულ ეპოქას, ყურადღებას ამახვილებს იმ მხატვრულ ნიშნებზე, რომელიც როგორც ზოგადად რენესანსის სტილისთვის, ასევე კონკრეტულად მოცემული კომპოზიციისთვისაა დამახასიათებელი. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით.
3 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა მისი მსჯელობა სრულყოფილი არ არის - იგი ყურადღებას ამახვილებს ნიმუშისა და ეპოქისათვის დამახასიათებელ მხოლოდ რამდენიმე თავისებურებაზე, მსჯელობაში გარკვეული შეცდომები შეინიშნება.

	ან აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილ ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს სურათის დამახასიათებელ ყოველ თავისებურებაზე.
2 ქულა	აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ საკითხს. აპლიკანტის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. ***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების საინტერესო ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს სურათის დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურებაზე.
1 ქულა	აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა ვერ ახერხებს საკითხის გაანალიზებას და მის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. ***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის უნარს ავლენს.
0 ქულა	პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პასუხში არ ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის გარშემო. პასუხი ბუნდოვანია, აპლიკანტის მსჯელობაში არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებებია.

40.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში ეგვიპტური და ბერძნული ხელოვნების სათვის დამახასიათებელი ნიშნების სინთეზის საფუძველზეა შექმნილი და ამიტომ ელინიზმის ეპოქას განეკუთვნება. მასიური არქიტექტურული ფორმები და ჰიპოსტილური ტიპის ტაძარი და ამავე დროს დორიული ორდერის არქიტექტურული ფრიზი - ტრიგლიფებით და მეტოპებით, სვეტის თავები - კაპიტელები კი კორინთული ორდერის ინტერპრეტაცია.
3 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ქვეყნისა და რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე, თუმცა არგუმენტებით სრულყოფილად მოსაზრების გამყარებას ვერ ახერხებს.
2 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ქვეყნისა და რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე, თუმცა მსჯელობის არგუმენტირებულად წარმართვა უჭირს.
1 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ქვეყნისა და რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე,
0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

41.

შეფასების სქემა **მაქსიმალური ქულა 4**	
4 ქულა	აპლიკანტი ახერხებს იმსჯელოს წარმოდგენილი ნიმუშების მხატვრულ თავისებურებებზე - ეტრუსკული ქანდაკებების წაგრძელებული ფიგურები, რომლებიც სტილიზაციითა და გამარტივებული ფორმებით ხასიათდება, შესაძლებელია ყოფილიყო ალბერტო ჯაკომეტისათვის შთაგონების წყარო. ალბერტო ჯაკომეტის მიერ შექმნილი კომპოზიცია წარმოგვიდგენს ასევე სტილიზებულ, წაგრძელებულ, უხელო ფიგურებს და უკანა პლანზე კი ადამიანის მხოლოდ ბიუსტს, თუმცა ასევე წაგრძელებული ფორმის. მათი დამუშავება განსხვავდება ეტრუსკული ქანდაკებების გლუვი დამუშავებისაგან და თითქოს მეტად კუთხოვანი და გამომსახველია, თუმცა ქანდაკებების ორივე ჯგუფი საოცრად ემოციურია, გამოხატავს გარკვეულ ასკეტიზმს, მარტოობის განცდას ბადებს და ექსპრესიულია, რითაც ისინი ერთმანეთთან მსგავსებას ამჟღავნებენ.
3 ქულა	აპლიკანტი ახერხებს იმსჯელოს წარმოდგენილი ნიმუშების მხატვრულ თავისებურებებზე, თუმცა უძნელდება წარმოდგენილ ნიმუშებს შორის ურთიერთგავლენაზე სახვითი საშუალებების საფუძვლებზე მსჯელობა.
2 ქულა	აპლიკანტი ახერხებს დაასახელოს წარმოდგენილი ნიმუშების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება, წარმოდგენილ ნიმუშებს შორის ურთიერთგავლენაზე სახვითი საშუალებების საფუძვლებზე მსჯელობა .
1 ქულა	აპლიკანტი ახერხებს დაასახელოს წარმოდგენილი ნიმუშების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

42.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 15 I პუნქტისათვის 5 ქულა II და III პუნქტისათვის 4 ქულა IV პუნქტისათვის 2 ქულა	
I 5 ქულა II III 4 ქულა IV 2ქულა	საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული _ პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებით და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით.
I 4 ქულა II III 3 ქულა	აპლიკანტი ხელოვნების ნიმუშების მეტ-ნაკლებად სრულ შედარებით ანალიზს აკეთებს. მსჯელობა არ არის სრულყოფილი და გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს.
I II III 2 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, ან მისი პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემასთან - აპლიკანტს ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზის გაკეთება უჭირს. პასუხი სუსტია და არათანმიმდევრული,თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.
1 ქულა	აპლიკანტი ვერ ახერხებს მსჯელობის განვითარებას. მსჯელობს არათანმიმდევრულად, არაადეკვატურად და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს.
0 ქულა	დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და შედარებითი ანალიზის უნარი; პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია, ან მოყვანილია არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებები.